THE EPITAPH OF AMAZASPOS
ამაზასპოსის ეპიტაფია

Ekaterine Kobakhidze
Doctor of Philological Sciences, Associate Professor of Tbilisi State University,
Tbilisi, Il.Chavchavadze av.1, Georgia
+995577413706; ekaterine.kobakhidze@tsu.ge,
https://orcid.org/0000-0003-2713-4

Natia Phiphia

PhD, Assistant Professor of Tbilisi State University,
Tbilisi, Il. Chavchavadze av.1; Georgia
+995599105454; natia.phiphia@tsu.ge
https://orcid.org/0000-0002-8364-3962

Abstract[1]

The Epitaph of Amazaspos found in Rome is extremely valuable evidence for the study of Georgian History. Several scholarly articles were dedicated to it, however, some aspects still remain unidentified. First of all, the context of the inscription is interesting – when was it created– whether in the first century or not, and therefore is it connected to the activity of Trajan's father in the East or to Trajan's Parthian campaign, in which Iberians supported him? There is also an opinion that the context of the inscription should be the reign of Antonius Pius and, subsequently, supporters of this idea believe that the only function this inscription had was to demonstrate Roman-Iberian contacts to Pharasmanes the Valiant, who was visiting Rome during Antoninus Pius's reign. The analysis of the details of the inscription gives us the possibility to discuss the context, identify the era in which it was created and our report will try to deal with this issue. The answers to these questions should be found after analyzing Roman history, Iberian-Roman relations and their dynamics, also after finding some possible links and connections of the time.

Several inscriptions found on the territory of Iberia are interesting from this point of view – Queen Ulpia's inscription is among them. Ulpia had a female version of Emperor Trajan's name – Ulpius, which points to the contacts between Iberians and Rome during Trajan's reign. Narrative sources also indicate that not only Iberia, but also another kingdom inhabited by Kartvelian tribes supported Trajan's during his Parthan expedition – kingdom of the Macheloni and Heniochi. Our paper will try to solve these complicated issues and we will present our opinion about it.

Key Words: Amazaspos, Trajan, Mithridates, Ulpia, Iberia, Roman Citizenship

[1] The research was carried out within the framework of the grant "Ancient Greco-Roman epigraphy as a source of Georgian history" (N FR-18-2018) funded by the Shota Rustaveli National Science Foundation.

ეკატერინე კობახიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, ილ.ჭავჭავაძის გამზ.1, საქართველო
+995577413706;
ekaterine.kobakhidze@tsu.ge,
https://orcid.org/0000-0003-2713-4
ნათია ფიფია

ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
თბილისი, ილ.ჭავჭავავაძის გამზ, 1,საქართველო
+995599105454; natia.phiphia@tsu.ge,
https://orcid.org/ 0000-0002-8364-3962

აბსტრაქტი[2]

ამაზასპოსის ეპიტაფია საქართველოს ისტორიის კვლევის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. ამ წარწერას რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, თუმცა, გარკვეული საკითხები მაინც დასაზუსტებელია. ერთ-ერთ პრობლემად რჩება წარწერის ისტორიული კონტექსტი — როდის შეიქმნა ეს წარწერა — პირველ საუკუნეში და იგი ტრაიანუსის მამის აღმოსავლეთში აქტიურობას უკავშირდება თუ ტრაიანუსის პართულ ლაშქრობას, რომელშიც, როგორც ჩანს, იბერებიც იყვნენ ჩართული. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ ეს ეპიტაფია ანტონიუს პიუსის ეპოქაში უნდა იყოს შექმნილი და მის ფუნქციას მხოლოდ იბერიის მეფე ფარსმანისთვის მისი რომში ვიზიტის დროს რომაულ-იბერიული კონტაქტების დემონსტრირება წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, წარწერაში არსებული დეტალების გააზრება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ წარწერის როგორც კონტექსტზე, ისე მისი შექმნის ეპოქაზე. ამაზასპოსის ეპიტაფიასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია აგრეთვე ზოგადად რომის ისტორიის და რომაულ-იბერიული ურთიერთობების დინამიკის შესწავლა და ამ თვალსაზრისით გარკვეული კავშირების ძიება. ამ კუთხით საინტერესოა რამდენიმე წარწერა, რომელიც იბერიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათ შორის, დედოფალ ულპიას წარწერა. თავად ულპია იმპერატორ ტრაიანუსის საგვარეულო სახელს ატარებს, რაც, ჩვენი დაკვირვებით, გარკვეულწილად, ტრაიანუსის იბერიელებთან კავშირებზე მიანიშნებს. ნარატიული წყაროებიდან ისიც ცნობილია, რომ ტრაიანუსის მხარდამჭერები პართული ექსპედიციის დროს სწორედ იბერები და კიდევ ერთი ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორია — მაქელონ-ჰენიოხთა სამეფოა. ჩვენი მოხსენება სწორედ ამ რთული საკითხის შესწავლას ისახავს მიზნად და წარმოგიდგენთ ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ამაზასპოსი, ტრაიანუსი, მითრიდატე, ულპია, იბერია, რომის მოქალაქეობა

[2] კვლევა შესრულებულა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის „ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ (N FR-18-2018) ფარგლებში.

შესავალი: ამაზასპოსის ეპიტაფია წარმოადგენს ბერძნულ ენაზე შესრულებულ, იამბური ტრიმეტრით გამართულ ეპიგრამას, რომელიც XVII საუკუნეში რომში იყო აღმოჩენილი (**Peek, 1955: გვ. 622; Marek, Frei, 2016: გვ. 345**). საფლავის ქვა, რომელზეც ამოკვეთილია რომაელთა პართული ექსპედიციისას იბერიელთა უფლისწულ ამაზასპოსის სიკვდილის შესახებ ინფორმაცია, მედიჩების ვილაში, ტოსკანის მმართველთა რეზიდენციაში იყო ნაპოვნი (**Preud'homme, 2021: გვ.5**) სამწუხაროდ, დღეს ეპიტაფია დაკარგულია.

წარწერა 12 სტრიქონიანია და მისი ტრანსლიტერაცია შემდეგია:

ὁ κλεινὸς ἶνις βασιλέως Ἀμάζασπος,
ὁ Μιθριδάτου βασιλέως κασίγνητος,
ᾧ γαῖα πατρὶς Κασπίας παρὰ κλῄθρας
Ἴβηρ Ἴβηρος ἐνθαδὶ τετάρχυται
πόλιν παρ᾽ ἱρήν, ἣν ἔδειμε Νικάτωρ
ἐλαιόθηλον ἀμφὶ Μυγδόνος νᾶμα.
θάνεν δ᾽ ὀπαδὸς Αὐσόνων ἁγητῆρι
μολὼν ἄνακτι Παρθικὴν ἐφ᾽ ὑσμίνην,
πρίν περ παλάξαι χεῖρα δηίῳ λύθρωι,
ἴφθιμον αἰαῖ χεῖρα δουρὶ καὶ τόξωι
καὶ φασγάνου κνώδοντι, πεζὸς ἱππ[εύς τε]·
ὁ δ᾽ αὐτὸς ἶσος παρθένοισιν αἰδοίαις. **(CIG, 1877:6856)**

ეპიგრამა ასე ითარგმნება[3]:

„სახელოვანი ვაჟი მეფისა, ამაზასპოსი
ძმა მითრიდატე მეფისა,
რომლის მშობლიური ქვეყანა არის კასპიის კარიბჭეებთან
იბერიელი, იბერიელის ვაჟი, აქაა დაკრძალული
წმინდა ქალაქთან, რომელიც ნიკატორმა ააგო
ზეთისხილის მასაზრდოებელი მიგდონის ნაკადის ირგვლივ,
იგი გარდაიცვალა, თანამგზავრი ავსონიელთა,
რომლებიც მიდიოდნენ წინამძღოლ მეუფისთვის პართულ ბრძოლაში,
სანამ გაისვრიდა ხელს მტრის სისხლით,
მძლავრ, ვაი, რომ, ხელს შუბიანს და მშვილდიანს
და ხმლიანს, ქვეითად და ცხენდაცხენ:
და თავად იყო მსგავსი მორცხვი ქალწულებისა.“

მართალია, ეპიგრამა რომშია აღმოჩენილი, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, იგი ნისიბისიდანაა ჩამოტანილი, სადაც ახალგაზრდა მეფისწული გარდაიცვალა.

ამრიგად, ირკვევა, რომ ამაზასპოსი, რომელიც იყო იბერიის მეფის ვაჟი და ძმა იბერიის იმჟამინდელი მეფე მითრიდატესი, მონაწილეობდა პართიის ექსპედიციაში და გარდაიცვალა ნისიბისთან, თუმცა ბრძოლის დაწყებამდე.

რომელი პართული ექსპედიციის ამბებია აქ ასახული?

ერთი ვერსიით, რომელსაც მეცნიერთა უმეტესობა იზიარებს, წარწერა, სავარაუდოდ, იმპერატორ ტრაიანუსის პართულ ექსპედიციას ე.ი. 114-117 წლებში

[3] თარგმანი შესრულებულია ე. კობახიძის მიერ

მომხდარ მოვლენებს უნდა უკავშირდებოდეს, რადგან ქალაქი ნისიბისი, სადაც დაიღუპა იბერიელი უფლისწული, ტრაიანუსის პართული ექსპედიციის დროს რომაელებმა ორჯერ აიღეს: პირველად - 114 წლის ოქტომბერში, ხოლო მეორედ - მესოპოტამიის აჯანყების ჩახშობის დროს 116-117 წლებში (Sartre, 2022: გვ 18).

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს ეპიტაფია ასახავს არა ტრაიანუსის 114-117 წლების ლაშქრობას, არამედ იმპერატორ ტრაიანუსის მამის, მარკუს ულპიუს ტრაიანუსის ექსპედიციას პართელების წინააღმდეგ (**Tsetskhladze, 2006/2007 : გვ 75-107**).

კვლევის მეთოდები: ეპიგრაფიკული და ნარატიული წყაროების შეჯერებისას მეტწილად გამოყენებულია **ჰევრისტიკული მეთოდი,** რომლის მეშვეობითაც ხდება წყაროებში დაცული მონაცემების კლასიფიკაცია და ვერიფიკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, გამოყენებულია ინფორმაციის **სინთეზის და რეკონსტრუქციის მეთოდები.**

შედეგები და დისკუსია: ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ტრაიანუსის მამის და თავად ტრაიანუსის კამპანიების გეოგრაფიული არეალი, რათა დავაზუსტოთ იბერიელი უფლისწულის მათში მონაწილეობის ალბათობა. ტრაიანუსის მამის აღმოსავლეთის პროვინციებში გენერალ კორბულონის ხელმძღვანელობით მსახურობდა. მოგვიანებით კი იყო სხვადასხვა პროვინციის, კერძოდ კაპადოკიის და სირიის მმართველი. მართალია, დაახლოებით 75 წელს პართელების დაშოშმინების გამო მან ტრიუმფალური მორთულობები დაიმსახურა, მაგრამ უშუალოდ ნისიბისთან მისი კავშირი არ ჩანს წყაროებში, მითუმეტეს, რომ არც ისაა დაზუსტებით ცნობილი, ეს საბრძოლო მოქმედებები იყო თუ დიპლომატიური მოლაპარაკებები.

ხოლო საკუთრივ იმპერატორი ტრაიანუსის კავშირი ნისიბისთან აღმოსავლეთის ექსპედიციის დროს კარგად არის დოკუმენტირებული. შესაბამისად, ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ეპიტაფიაში აღწერილი მოვლენები სწორედ 114-117 წლებს უკავშირდება.

კერძოდ, როდესაც ტრაიანუსი არმენიაში მოვიდა, არმენიელებმა მისი უზენაესობა სცნეს და არმენია რომის პროვინციად გამოცხადდა, შემდეგ ოსროენეს მეფემაც სცნო ტრაიანუსის უზენაესობა. ტრაიანუსმა ამ ამბების შემდეგ დაიკავა ნისიბისი და ზამთარიც სავარაუდოდ იქ გაატარა (**Sartre, 2022: გვ 146**).

იბერიელთა ჩართვა ლაშქრობაში გასაგებიცაა – როგორც ჩანს, როცა ტრაიანუსმა არმენია დაიკავა, იბერიელებმა გადაწყიტეს მისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის გამოცხადება და უფლისწული გააგზავნეს ამ ლაშქრობაში.

ამრიგად, იბერიელი უფლისწული ჩავიდა ტრაიანუსთან და ნისიბისის აღების წინ ტრაგიკულად დაიღუპა.

როდის უნდა შექმნილიყო ეს ეპიგრამა?

საინტერესოა, რომ ამ კამპანიაში მომავალი იმპერატორი ჰადრიანუსიც მონაწილეობდა (**Merivale, 1872: გვ 162**). დამკვიდრებული თვალსაზრისით, ეს ეპიტაფია ჰადრიანუსის ლიტერატურულ წრეში შეიქმნა. სავარაუდოდ, ჰადრიანუსი პირადად იცნობდა იბერიელ უფლისწულს, რაც, შესაძლოა, ამაზასპოსისთვის ეპიტაფიის მიძღვნის ერთ-ერთი მიზეზიც გახდა (**Tybout 2016: გვ.400**).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ჰადრიანუსის ტრფიალი ახალგაზრდა ლამაზი ჭაბუკებისადმი. საყოველთაოდ ცნობილია, ანტინოეს კულტის შექმნა სწორედ მას მიეწერება მისი საყვარლის გარდაცვალების შემდეგ. როგორც ჩანს, მისი მინიმუმ ესთეტიური დამოკიდებულება ახალგაზრდა ვაჟების მიმართ ახდენს ზეგავლენას, როდესაც ის გადაწყვეტს, რომ ამაზასპს ეპიტაფია მიუძღვნას ან დაუკვეთოს ამ შინაარსის მქონე ეპიგრამა.

ეპიტაფიის შექმნის დროსთან დაკავშირებით არსებობს ტიმო შტიკლერის განსხვავებული თვალსაზრისი.

ამაზასპის ეპიტაფიასთან დაკავშირებით 2022 წლის 23 მარტს თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებულ შეხვედრაზე მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ამაზასპოსის ეპიტაფიის შექმნის კონტექსტი ანტონინუს პიუსის ეპოქას უკავშირდება, ხოლო წარწერა საგანგებოდ დაიწერა ფარსმან ქველის რომში ვიზიტის მზადების პროცესში, საგანგებოდ ბერძნულად მისი პატივისცემის მიზნით, ხოლო ეპიგრამაში გათვალისწინებულია ბერძნული ეპოსის, პირველ რიგში, ჰომეროსის ტრადიციული ფორმულები და ეპითეტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეპიტაფიის ბერძნულ ენაზე შესრულება, მართლაც, იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ტექსტის შინაარსი, პირველ რიგში, იბერიელებისთვის უნდა ყოფილიყო გასაგები, თუმცა, იყვნენ ეს იბერიელები ამაზასპოსის მხლებლები ან იბერიის იმჟამინდელი მეფის, მითრიდატეს ოჯახის წევრები თუ ფარსმანი და მისი დიდებულები, გადაჭრით თქმა შეუძლებელია.

ამრიგად, ტიმო შტიკლერის აზრით, ეპიტაფია მეფისწულის გარდაცვალებიდან სულ ცოტა 25-30 წლის შემდეგ დაიწერა, თუკი Fasti Ostienses-ში ფარსმანის რომში ვიზიტის შესახებ ჩანაწერს 141 წლით დავათარიღებთ, როგორც ეს ამ ბოლო დროს დადგენილია. თუმცა, თუკი გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ეპიტაფია მეფისწულის გარდაცვალებისას დაიწერა და მალევე იგი რომში გადაასვენეს, მითუმეტეს ისეთი ე.წ. „მღელვარე“ რეგიონიდან, სადაც ნისიბისი მდებარეობდა, ეს მიცვალებულისადმი გარკვეული პატივის მიგებაზეც შეიძლება მიანიშნებდეს, რაც ანტიკურობაში არცთუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა (**Tybout, 2016: 400**) .

ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ ახალგაზრდა უფლისწულის გარდაცვალებამ სერიოზული დისკომფორტი შეუქმნა რომაელებს, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ უფლისწული არა ბრძოლის ველზე, არამედ ბრძოლამდე გარდაიცვალა. რა იყო გარდაცვალების მიზეზი, უცნობია, თუმცა, პართელების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი მოკავშირის, იბერიის სამეფო დინასტიის წარმომადგენლის სიკვდილი რომაელთათვის დიდი პრობლემა იქნებოდა პირველ რიგში იმ პასუხისმგებლობის გამო, რომელიც მათ, როგორც ლაშქრობის ორგანიზატორებს, ეკისრებოდათ იბერიელთა და მათი სამეფო დინასტიის მიმართ, რომელსაც გამოაკლდა ოჯახის უახლოესი წევრი.

ვფიქრობთ, ეს სულისკვეთება კარგად ჩანს ეპიტაფიაში.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ეპიტაფია ლექსადაა შესრულებული, რაც აშკარად მიუთითებს რომის იმპერატორის სურვილზე, რომ მოვლენა ლირიულ-ემოციურ ჭრილში წარმოაჩინოს.

ეპიტაფიის დასაწყისშივე ხაზგასმულია იბერიელთა სამეფო ოჯახის მიმართ რომაელთა განსაკუთრებული პატივისცემა, რაც კარგად ჩანს ამაზასპოსის ეპითეტში „სახელოვანი“, მითრიდატეს, მოქმედი მეფის მოხსენიებით და თავად გარდაცვლილის „,მძლავრი“ ხელის და საბრძოლო თვისებების ქებით, აქვე არ არის დავიწყებული ამაზასპოსის გარეგნული მშვენიერებაც, რომელიც შედარებულია ქალწულთა სილამაზესთან.

საინტერესოა, რომ ეპიგრამაში საკუთარი სახელით არ იხსენიება იმპერატორი ტრაიანუსი, რომელიც აქ „მეუფედ“ (ἄναξ) გვევლინება, რითაც იგი თითქოს ერთგვარად აყენებს საკუთარ ღირსებებს იბერიელ მეფეთა ჩრდილქვეშ. საყურადღებოა ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამაზასპოსმა ბრძოლაში თავი ვერ გამოიჩინა, მისი სამხედრო შესაძლებლობების ხაზგასასმელად არაერთი ეპითეტია გამოყენებული.

რომელი მეფე მითრიდატე უნდა იყოს ამ ეპიტაფიაში ნახსენები? კ. თუმანოვი ამაზასპს ვესპასიანუსის წარწერის იამასასპოსთან/იამაზასპუჰთან აკავშირებს და

შესაბამისად, მეფე მითრიდატეც ვესპასიანუსის წარწერის მითრიდატედ მიაჩნია(**Toumanoff, 1969: გვ.14-15**).

ეს გაიგივება სრულიად მოკლებულია საფუძველს, რადგან ვესპასიანუსის წარწერა ახ. წ. 75 წლით თარიღდება, ხოლო **ამაზასპის ეპიტაფიის შექმნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ტრაიანუსის მმართველობის ხანაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეპიტაფიის ამაზასპი – იბერთა მეფე მითრიდატეს ძმა – ტრაიანეს კამპანიის დროს ძალიან ახალგაზრდა იყო და როგორც ეს წარწერიდან ჩანს, ის მხოლოდ უფლისწულია და არა მეფე, ხოლო ვესპასიანუსის წარწერის იამასასპოსი ნახსენებია, როგორც მითრიდატეს მშობელი და არა ძმა.** თუნდაც დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ეპიტაფია ვესპასიანეს 75 წლის კამპანიის გამოხმაურებაა, ტრაიანუსის მამას და ვესპასიანუსს, ეპიტაფიის ამაზასპის, ვესპასიანუსის წარწერის იამასასპოსის გაიგივება მაინც გაუგებარია. ვესპასიანუსის წარწერის ბოლო ფრაზა: „იბერთა მეფეს, მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოსის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს და ხალხს კედლები გაუმაგრეს“ მეცნიერთა შორის დავის საგანი იყო.

ამ წარწერის ფარსმან მეფის იდენტიფიკაცია რადამისტის მამასთან და მითრიდატეს ძმა ფარსმანთან სადავო არაა (**ჯავახიშვილი, 1979: გვ. 177-178**), თუმცა, იამასასპოსის პიროვნება და მისი მოხსენიება მეფე ფარსმანის გვერდით კამათის საგანი გახდა. ვინ არის იგი – ფარსმანის თანამეფე თუ მისი ცოლი? გ. წერეთელი: ამაზასპუჰი – მითრიდატეს დედა, ფარსმანის ცოლი, ლ. ბარტოლეი, ჯ. მოლი, ვ. ლატიშევი Ιαμασδει (ქალის სახელი); ლ. რეინე, ი. პომიალოვსკი - Ιαμασδαιτων არმაზის მაცხოვრებელი, ა. ბოლტუნოვა, მ. ტოდი, თ. ყაუხჩიშვილი Ιαμασπω= Ιαμασασπω (კაცის სახელი) (იხ. დეტალური მიმოხილვა: **ყაუხჩიშვილი, 2009: გვ 251**).

ჩვენი აზრით, გ. წერეთლის მოსაზრება სავსებით სწორია. მისი აზრით, იამასასპოსი არის იამაზასპუჰი - ფარსმანის მეორე ცოლი. ფარსმანს პირველი ვაჟი, რადამისტი, პირველ ცოლთან შეეძინა. ტაციტუსი წერს, რომ როდესაც რადამისტი ბიძამისთან, არმენიის მეფესთან გაიქცა, დედინაცვალთან გართულებული ურთიერთობა მოიიზეზა (**Tac. Ann, XII, 44**).

ჩვენის მხრივ, იმასაც დავამატებდით, რომ ის ფაქტი, რომ სახელი „ამაზასპი“ მამაკაცებში დადასტურებული სახელია იბერიაში, სრულებით არ ნიშნავს, იმას რომ მისი მდედრობითი, მსგავსი ვერსია არ არსებობდა, თუნდაც, რომაული გავლენით, მით უფრო რომ კონტექსტი ზუსტად ამას გვავარაუდებინებს. გარდა ამისა, წარწერაში გარკვევით ჩანს, რომ სახელი არის არა „ამაზასპოსი“-Ἀμάζασπος, არამედ „იამასასპოსი“-Ἰαμασασποῖ, შესაბამისად, „ამაზასპოსი“ და „იამასასპუსი“, როგორც ჩანს, საერთო წარმოშობის მდედრობითი და მამრობითი საკუთარი სახელებია. მამაკაცისა და ქალის საერთო ფუძის სახელები დასტურდება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, საქართველოშიც.

ახლა რაც შეეხება ვითარებას ქართლში II საუკუნის დასაწყისში და ეპიტაფიაში ნახსენები მეფე მითრიდატეს ვინაობას. ვინ მეფობს ამ პერიოდის იბერიაში წყაროთა მიხედვით? ამასთან დაკავშირებით, „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაიში“ ჰიატუსია, მაგრამ, ამ პერიოდში გვყავს ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დადასტურებული მეფე – ფლავიუს დადე, რომლის ქართული სახელიც, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, უნდა ყოფილიყო მითრიდატე. მეფე ფლავიუს დადეს წინაპარს, როგორც ჩანს, რომის მოქალაქეობა ვესპასიანემ ან დომიციანემ უბოძა, მან კი ეს საპატიო საბოძვარი მემკვიდრეობით მიიღო (**Dundua, 2002: გვ. 61**). როგორც ჩანს, მისი რომაული ასპირაციები იმდენად ძლიერი იყო, ფლავიუს დადემ სახელი შეინარჩუნა და ამით ამაყობდა კიდეც. ამას ადასტურებს მის მიერ ადგილობრივი პიტიახშისთვის ბოძებული საჩუქარი, ლანგარი, სადაც მან ამაყად განათავსა საკუთარი სახელი. მართალია, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ თუ მის წინაპარს ჰქონდა ფლავიუსებისგან ბოძებული რომის

მოქალაქეობა და მისი რომაული სიმპათიების შესახებ თავად რომშიც იყო ცნობილი, პირადად მისთვისაც შეიძლებოდა ებოძებინათ რომაული სახელი (ამჯერად იმპერატორ ტრაიანუსის მიერ) ამაზასპოსის, მისი ჰიპოთეტური ძმის სიკვდილის შემდეგ, ასე ვთქვათ, სანუგეშოდ. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს მაინც ნაკლებ სავარაუდოა. გამომდინარე იქიდან, რომ ის უკვე ატარებდა რომაულ საგვარეულო სახელს. ამიტომაც, ჩვენი აზრით, ამაზასპოსის წარწერის მეფე მითრიდატეს გაიგივება მეფე ფლავიუს დადესთან მოკლებულია საფუძველს. მაშინ, ვინ უნდა იყოს ეს მეფე მითრიდატე და რა კონტექსტთან უნდა იყოს დაკავშირებული ამაზასპოსისთვის ასეთი პატივის მიგება?

„ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაი“-დან ცნობილია რამდენიმე მეფე, რომელთაც მირდატი ან მირვანი ეწოდებოდათ და მათი გაიგივება ბერძნული წყაროების მითრიდატესთან შესაძლებელია. ესენია: 1) მირვანი, რომელიც საურმაგის შემდგომ მეფობს. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, იგი ძალიან დაშორებულია ამაზასპოსის ეპიტაფიას და შესაბამისად, მისი წარწერის მითრიდატეს გაიგივება ამ მირვანთან წარმოუდგენელია, 2) მირვან/მირეანი, რომელიც ბარტომ/ბრატმანის შემდგომ მეფობს. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ისიც საკმაოდ დაშორებულია ამაზასპს და შესაბამისად, ვერც მასთან ვერ გავაიგივებთ ამაზასპის ძმას, მითრიდატეს, 3) ფარსმან ქველის „თანამეფე“ (უფრო სპასპეტი) მირდატი, რომელმაც ფარსმან ქველი მოაწამვლინა და საკმაოდ დრამატულ ვითარებაში დაიკავა ტახტი, თუმცა, როგორც უზურპატორი, ჩამოაგდეს ტახტიდან. ეს მირდატი ქრონოლოგიურად საკმაოდ ახლოს დგას ამაზასპთან და მისი თანამედროვეც კი არის. საინტერესოა, რომ თუ ეპიტაფია ჰადრიანუსის მიერაა შექმნილი, შეიძლებოდა გვევარაუდა, ხომ არ შექმნა ჰადრიანუსმა ეს ეპიტაფია ფარსმან ქველის პოლიტიკური ოპონენტის, მირდატის ძმის განდიდების მიზნით, რათა ამით ფარსმანისთვის დაემტკიცებინა, რომ რომი თავის ერთგულ მოკავშირეებს აფასებს – ფარსმანმა ხომ უარი თქვა ჰადრიანუსთან კავშირზე? თუმცა, ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ეპიტაფიას ათარიღებენ უფრო ადრეული პერიოდით, როცა ჰადრიანუსი იმპერატორი ჯერ არ იყო.

შესაბამისად, მითრიდატე მეფე, რომელიც ამაზასპოსის ეპიტაფიაში იხსენიება, არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც „მოქცევაი ქართლისაი“-ში არ არის დადასტურებული. ის არ დასტურდება არც სხვა ბერძნული წარწერებიდან. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ის მხოლოდ ამ წარწერიდანაა ცნობილი. საინტერესოა, რომ ორივე ქართულ წყაროს ამ ეპოქასთან დაკავშირებით რეალურად ჰიატუსი აქვს და თ. დუნდუა ამასთან დაკავშირებით შემდეგ მიმოხილვას გვთავაზობს: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სია მირიანამდე 26 მეფეს ასახელებს. სხვა პასაჟი კი მის რიგით ნომრად 36 სვამს (**მოქცევაი ქართლისაი, 1979: გვ. 353**). ბერძნულ და ლათინურენოვან ნარატიულ და ეპიგრაფიკულ ძეგლებში მოხსენიებული ცხრა უეჭველი ბასილევსი – არტოკე (ძვ. წ. I საუკუნის I ნახევარი), ფარნავაზი (ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარი), მითრიდატე (ახ. წ. I საუკუნის I ნახევარი), ფარსმანე (ახ. წ. I საუკუნის შუა ხანები), მითრიდატე (ახ. წ. I საუკუნის II ნახევარი), ხარვეზი (ფარსმანე?) (ახ. წ. I საუკუნის მიწურული), მითრიდატე (II საუკუნის დასაწყისი, **ამაზასპის ეპიტაფიის მიხედვით, იმპერატორ ტრაიანუსის მოკავშირე**), ფარსმანე (II საუკუნის I ნახევარი), ხსეფარნუგი (II საუკუნის II ნახევარი) – საკითხის სრული რეალიზაციის შთაბეჭდილებას გვიქმნის. ეს ცხრა მეფე შუაში "ხლეჩს" "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს სიას“ (**დუნდუა, 2019: გვ. 41-48**).

საყურადღებოა, რომ ეპიტაფიაში აღწერილი მოვლენები, ჩვენი აზრით, გარკვეულ კავშირს გვიჩვენებს მცხეთაში აღმოჩენილ კიდევ ერთ წარწერასთან.

2001 წლის აგვისტოში მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში მცხეთის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა გახსნა ქვასამარხი N14, სადაც ქალია დაკრძალული.

სამარხში 25 დასახელების ნივთია აღმოჩენილი, ძირითადად ოქროსა და ვერცხლის ინვენტარი, მათ შორის არის საბეჭდავი ოქროს ბეჭედი, რომელშიც ჩასმულია

სარდიონის გემმა-ინტალიო. ბეჭედი გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალულ 40-50 წლის ქალბატონს მარცხენა ხელის ფალანგაზე ეკეთა (**აფაქიძე, ყიფიანი, ნიკოლაიშვილი, მანჯგალაძე, კაპანაძე, 2003: გვ. 81-123**).

ბეჭდის ჩარჩო ოვალურია, რომელზეც მიდუღებულია ოქროსგან ჩამოსხმული ორი ავაზის გამოსახულება. ავაზებს კბილებითა და თათებით უჭერიათ ბეჭდის თვალბუდე. სარდიონის გემა - საბეჭდავზე გამოსახულია ქალის ბიუსტის მარცხენა პროფილი, რომელსაც ამშვენებს წაკვეთილი ცილინდრის ფორმის თავსაბურავი. გემმის სიგრძეა 20 მმ., ხოლო სიგანე - 17 მმ. ნივთის საერთო წონა არის 9, 89 გრამი (Apakidze, Kipiani, Nikolaishvili, 2004: 129) (**სურათი 1**).

სურათი 1 (ფოტო ქვეყნდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის 2022 წლის ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე. მიმართვის N 17/23)

გემმის ირგვლივ ფაქიზად გამოყვანილია ბერძნული წარწერა, რომელიც ანაბეჭდზე ასე გამოიყურება

ΒΑCΙΛΙCCΑ ||ΟΥΛΠΙΑΝΑΞΙΑ

თ. ყაუხჩიშვილი წაკითხვისა და თარგმანის ორ ვერსიას გვთავაზობს:

1) Βασίλισσα Οὐλπια ναξία – „დედოფალი ულპია ნაქსოსელი“
2) Βασίλισσα Οὐλπια [α]ναξία- „დედოფალი ულპია მბრძანებელი“.

იქვე მკვლევარი აღნიშნავს, რომ დასაშვებია, წარწერაში ორი მეზობელი ასოდან ერთი იყოს გამორჩენილი, თუმცა რაკიღა წარწერა საგანგებოდაა გამოყვანილი, ეს ნაკლებადაა სავარაუდო. ამასთან, ნაკლებ სავარაუდოა ისიც, რომ იბერიაში მყოფი დედოფალი ინარჩუნებდეს თავის წარმომავლობას, ნაქსოსელობას (ყაუხჩიშვილი, 2009: გვ 367). ამგვარად, თ. ყაუხჩიშვილი ამ საკითხს ღიად ტოვებს.

სამარხი, მასში აღმოჩენილი ნივთების უმრავლესობის საფუძველზე, დათარიღებულია ახ.წ. III-ს-ით ან IV ს-ის პირველი ნახევრით (Apakidze, Kipiani, Nikolaishvili, 2004: 133; მშვილდაძე, 2018: გვ.103) და ეკუთვნის იბერიის სამეფო ოჯახის წევრ ქალბატონს, რომელსაც ინტენსიური კავშირი ჰქონდა რომის იმპერიის უმაღლეს წრეებთან (**მშვილდაძე, 2018: გვ.109**).

არსებობს ვარაუდი, რომ საბეჭდავი ულპია დედოფლის უფლებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი პირადი ბეჭედია, ხოლო თავად ულპია, მ. მშვილდაძის აზრით, ქართლის დედოფლის ტიტულის მატარებელი უნდა ყოფილიყო. გამოთქმულია ვარაუდი სახელის, ულპიას, რაღაც კავშირზე ულპიუსების საგვარეულოსთან, რომელსაც იმპერატორი ტრაიანე მიეკუთვნებოდა (მშვილდაძე, 2017: გვ.58), თუმცა უფრო კონკრეტული ინფორმაცია არ არის მინიშნებული. თავად წარწერა თარიღდება II-III სს-ით და გამოცემულია თ. ყაუხჩიშვილის მიერ (**ყაუხჩიშვილი, 2009: გვ. 369**).

წარწერა არაერთ შეკითხვას აღძრავს და მათგან, ვფიქრობთ, ყველაზე მთავარია იმის დადგენა, თუ რა კავშირი შეიძლება ყოფილიყო დედოფალსა და ულპიუსების საგვარეულოს შორის.

ულპიუსების საგვარეულო, რომელიც რომის მმართველობის სადავეებთან ტრაიანუსის იმპერატორობის დროს მოექცა (98-117 წწ.), ტრაიანუსის შემდეგაც ინარჩუნებდა გარკვეულ გავლენებს იმპერიაში.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბეჭედი-საბეჭდავი წარმოადგენდა იმპერატორ ავრელიანეს (270-275) მეუღლის, ულპია სევერინას მიერ ნაბოძებ პირად ოქროს ბეჭედ-საბეჭდავს. ულპიას მამა, შესაძლოა, იყოს „ავგუსტუსების ისტორიაში“ მოხსენიებული ულპიუს კრინიტუსი. თუმცა, ეს თხზულება ცნობილია მისი ფაქტოლოგიური ცდომილებებით. ულპიუს კრინიტუსი თავს იმპერატორ ტრაიანეს შთამომავლად მიიჩნევდა. ავრელიანუსი ულპიუს კრინიტუსთან იყო დაახლოებული და ამის გამო ულპიუსების საგვარეულომ გადაწყვიტა მისი შვილება (**Smith, 1849: 1281**), თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია და ისიც საკმაოდ სათუო წყაროზე დაფუძნებული. კონკრეტულად ვისი შვილიც არ უნდა იყოს, ნებისმიერ შემთხვევაში, ულპია სევერინა ულპიუსების გვარს ატარებს. ზოგადად მისი საბეჭდავის არსებობა და შემდეგ მისი ქართლში აღმოჩენა გ. ლორთქიფანიძის და მ. მშვილდაძის მიერ ახსნილია იმ ფაქტით, რომ ავრელიანუსის გარდაცვალების შემდეგ ულპია რამდენიმე თვის მანძილზე ფაქტობრივად მართავდა რომს (**ლორთქიფანიძე, მშვილდაძე, 2017: გვ.33-34**).

ჩვენი აზრით, ულპია სევერინას საბეჭდავის არსებობის და ერთ-ერთი საბეჭდავის ქართლში აღმოჩენის შესახებ არგუმენტაცია მოკლებულია საფუძველს, რადგანაც არ მოიპოვება ავრელიანუსის ან ულპია სევერინას მიერ ქართლის დიდებულებსა და სამეფო კართან პირდაპირი ან არაპირდაპირი ურთიერთობის ამსახველი არქეოლოგიური ან ისტორიული დოკუმენტური მტკიცებულება. ასევე:

1. გაუგებარია რატომ უნდა შესრულებულიყო რომის იმპერიის „ფაქტობრივი მმართველის“ საბეჭდავი ბერძნულ ენაზე;
2. თუკი საბეჭდავი თავად ავრელიანუსის მიერ იყო ნაბოძები იბერიის მმართველისათვის (**Lortkipanidze, Mshvildadze, 2015: გვ.115**), სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ეს საბეჭდავი ჯერ კიდევ ავრელიანუსის სიცოცხლეში იყო დამზადებული, რატომ უნდა ჰქონოდა ულპია სევერინას „დედოფლის სტატუსი“?
3. არ მოიპოვება მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ულპია სევერინას ოდესმე ჰქონია „Βασίλισσα“-ს სტატუსი. ვფიქრობთ, ნუმიზმატიკურ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია ამ საკითხზე გარკვეული დასკვნების გაკეთება. ულპია სევერინას სახელით მონეტები მისი მეუღლის სიცოცხლეშიც იჭრებოდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგაც იჭრება რამდენიმე ახალი ტიპის მონეტა განსხვავებული წარწერით, რაც ნუმიზმატების გარკვეულ ჯგუფს აფიქრებინებს, რომ იგი ნამდვილად მართავდა იმპერიას, თუმცა, უოტსონის აზრით, ეს საკმაოდ თამამი, უსაფუძვლო განაცხადია და ფრიად სათუოა (**Watson 1999, 113-114**). ნებისმიერ შემთხვევაში, ულპია სევერინას არცერთ მონეტაზე, მათ შორის არც გვიანდელზე, იგი „Βασίλισσα“-ს სტატუსით არ იხსენიება.

4. ბუნდოვანია, რატომ უნდა ებოძებინათ „დედოფლის“ პირადი ბეჭედი-საბეჭდავი უცხოელი მმართველისათვის, მით უფრო, რომ საბეჭდავი ბეჭედი, როგორც ცნობილია, პირადი მოხმარების ნივთს წარმოდგენს და მისი გასხვისება ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

5. გარდა ამისა, რომაულ სამყაროში ბასილევსის ან ბასილისას ტიტული ძალიან უჩვეულოა თუნდაც იმპერიის ხანის რომის მმართველისათვის.

6. ულპია სევერინას არც ერთი საბეჭდავი ბეჭედი საერთოდ არ არის ცნობილი.

ჩვენი აზრით, ულპიუსების საგვარეულოსა და იბერიის მმართველებს შორის კავშირების ამსახველი მასალა სხვა გარემოებებში და სხვა ეპოქაში უნდა ვეძებოთ.

პირველ რიგში, საყურადღებოა განვიხილოთ, რა შეხება ჰქონდა იბერიის სამეფო კარს ულპიუსების საგვარეულოს ყველაზე გავლენიან წარმომადგენელთან, იმპერატორ ტრაიანუსთან.

ამ ურთიერთობის ამსახველი პირდაპირი ფაქტი დაკავშირებულია ტრაიანუსის ლაშქრობასთან პართელების წინააღმდეგ, სადაც მონაწილეობდა ჩვენთვის ეპიტაფიიდან ცნობილი იბერიის მეფისწული, ამაზასპოსი.

თუ დავუბრუნდებით ამაზასპოსის გარდაცვალების ფაქტს, ვფიქრობთ, მხოლოდ ეპიტაფია და სათანადო დაკრძალვის ორგანიზებით სამეფო ოჯახის წევრის გარდაცვალების „კომპენსაცია“ ვერ მოხერხდებოდა და პატივისცემის ნიშნად იბერიელთა მეფე მითრიდატეს (მირდატს) ბევრ სხვადასხვა საბოძვარს და ჯილდოს გაუგზავნიდნენ. ჩვეულებრივ, რომის იმპერატორები უძღვნიდნენ ხოლმე არაერთ წარჩინების ნიშანს, ინსიგნიებს (Braund, 1994: გვ.254). ყველაზე დიდ პრივილეგიას კი რომის მოქალაქეობის მინიჭება წარმოადგენდა, რომელიც ხშირად ეძლეოდათ რომის მოკავშირე ქვეყნების უცხოელ წარჩინებულებს, რითაც ისინი, ფაქტობრივად, ორმაგი მოქალაქეები ხდებოდნენ (Crook, 1984: გვ. 39). ეს მომენტი ზოგადად არ იყო უცხო ქართლის მმართველებისათვის.

იბერიის მეფეებს რომ რომის მოქალაქეობა ჰქონდათ, ეს კარგად ჩანს ეპიგრაფიკული წყაროებით.

სერაფიტას წარწერაში მოხსენიებულია სახელი „პუბლიკიუს აგრიპა“, გარდა ამისა, II-III საუკუნეებით დათარიღებულ ვერცხლის ლანგარზე იბერთა მეფე, ფლავიუს დადეს სახელია აღნიშნული. ისიც რომაულ გვარს ატარებს. თ. დუნდუას აზრით, მათ ორივეს რომაული მოქალაქეობა ჰქონდათ (**Dundua, 2002 : 10-16**). **რომის მოქალაქეობის მინიჭება კი რომაული საგვარეულოს სახელის (nomen) ტარებას გულისხმობდა, რაც, ჩვენს შემთხვევაში, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ თავად იმპერატორის საგვარეული სახელი Ulpius.**

შესაბამისად, თუ წარმოვიდგენთ, რომ მითრიდატემ/მირდატმა ან შესაძლოა, მისი ოჯახის რომელიმე წევრმა მიიღო ეს საპატიო ჯილდო იმპერატორ ტრაიანუსისგან ამაზასპოსის სიკვდილის გამო გამოწვეული უხერხულობის გამო, და აგრეთვე იმის გათვალისწინებითაც, რომ პართელების წინააღმდეგ ბრძოლაში იბერია რომის ერთ-ერთი მოკავშირეა მცირედთაგან(**ფიფია, 2005: გვ. 18**), სავსებით ბუნებრივია, ასეთი დასაჩუქრება. საინტერესოა ისიც, რომ ტრაიანუსის მეორე მოკავშირე, მაკრონ-ჰენიოხების მეფე იყო, რომელიც მან დიონ კასიუსის ცნობით, სატალაში დაიბარა და დაასაჩუქრა. დიონ კასიუსი ამასთან დაკავშირებით წერს: „Τραϊανὸς ἐκείνῳ μὲν τὸν τοῦ Ἰουνίου υἱὸν ἔπεμψεν, αὐτὸς δὲ μέχρις Ἀρσαμοσάτων προχωρήσας καὶ ἁμαχεὶ αὐτὰ παραλαβὼν ἐς τὰ Σάταλα ἦλθε, καὶ Ἀγχίαλον τὸν Ἡνιόχων τε καὶ Μαχελόνων βασιλέα δώροις ἠμείψατο.“ (**Dio Cass., LXVIII, 19. 2**). **ასეთ კონიუნქტურაში, სავსებით შესაძლებელია, რომ იბერიის სამეფო ოჯახის რომელიმე წევრს ჰქონოდა რომის მოქალაქეობა და შესაბამისად, ბუნებრივად გამოიყურება ის ფაქტიც, რომ იბერიის სამეფო ოჯახის წარმომადგენელ ქალბატონს, რომაული ტრადიციის შესაბამისად, ერქვა რომაული საგვარეულოს სახელი – Ulpia.**

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

აფაქიძე, ა. ყიფიანი, გ. ნიკოლაიშვილი, ვ. მანჯგალაძე, გ. კაპანაძე, მ. (2003). სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, მცხეთა. 2001; 2001-2002 *საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ანგარიშები. VI სამეცნიერო სესია.* თბილისი. გვ. 81-123.

დუნდუა, თ. (2019) საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები. დამატება. თბილისი, გამომცემლობა: მერიდიანი. გვ. 41-48

ლორთქიფანიძე, გ. მშვილდაძე, მ. (2016) ქართლის (იბერიის) „რომანიზაციის" კულტუროლოგიური ასპექტები (I-III სს), *აკადემიის მაცნე N 1,* თბილისი, გვ.26-40.

„მოქცევაი ქართლისაი" (1979) *შატბერდის კრებული.* ძველი ქართული მწერლობის ძეგლები I. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება" . გვ. 320-356.

მშვილდაძე, მ. (2018). ფლავიუსებისა და ანტონინუსების საიმპერატორო გვართან დაკავშირებული ნივთები სვეტიცხოვლის N 14 მდიდრული აკლდამიდან. *ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIII,* თბილისი. გვ 103-115.

მშვილდაძე, მ. (2017). ულპიას საბეჭდავი ბეჭდის შესწავლის საკითხისათვის. *ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* XII, თბილისი. გვ 53-61.

ფიფია, კ. (2005)*ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი".

ყაუხჩიშვილი, თ. (2002). ბერძნულწარწერიანი ნივთები მცხეთიდან, *ოჩხარი*, გვ 410-421;

ყაუხჩიშვილი, თ. (2009). *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი.* მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი".

ჯავახიშვილი, ივ. (1979). *ქართველი ერის ისტორია. I.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Apakidze, A. Kipiani G. and Nikolaishvili, V. (2004). A Rich Burial from Mtskheta (Caucasian Iberia), *Phasis, Greek and Roman Studies,* 7. გვ.128-142.

Braund, D. (1994) *Georgia in antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC-AD 562.* Oxford: Oxford University Press.

CIG (1877) Corpus Inscriptionum Graecarum, vol,4. Berlin: Königlich Preussische Akademie der Wissenschaften.

Crook, J.A. (1984) *Law and Life of Rome. 90 B.C.- A.D. 212.* Ithaka, New York: Cornell University Press.

Dundua, T. (2002). Publicius Agrippa, Flavius Dades and Dual Citizenship - a Pattern for Europe in Future? *Caucasica. The Journal of Caucasian Studies.* vol. 5. Tbilisi. გვ. 57-63.

Kauchtsschischwili, T. Neuendeckte Gegenstände mit griechischen inschriften aus Mzcheta, *Phasis, Greek ansd Roman Studies* 5-6, 2003, გვ.134-140.

Lortkipanidze, G, Mshvildadze, M. (2015) Culturological Aspects of Kartli (Iberia) "Romanization" (I-III c.), *abstracts of I International Congress "Problems and Prospects" of Kartvelology*, The Georgian National Academy of Sciences Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Patriarchate, Tbilisi.

Marek, Chr. Frei, P. (2016). *In the Land of a Thousand Gods, A history of Asia Minor in the Ancient World,* Princeton and Oxford : Princeton University Press.

Merivale, Ch. (1872). *History of the Romans under the Empire*. vol. III. London: Longmans, Green and co.

Preud'homme, N. (2021). L'égal des vierges pudiques : le prince Amazaspos et la valeur ducélibat dans l'Antiquité romaine", Communication présentée au colloque *"Le Genre des célibats" organisé par le CRH et la Cité du Genre à Paris le 1er octobre 2021*. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/54392091/Le_prince_Amazaspos_et_la_valeur_du_c%C3%A9libat_dans_lAntiquit%C3%A9_gr%C3%A9co_romaine

Peek, W. *Griechische Vers-Inschriften, Volume 1: Grab -Epigramme*, Berlin: Akademie-Verlag, 1955.

Sartre, M. (2022) *Roman Expansion Across Euphrates in: A Companion to the Hellenistic and Roman Near East,* Hoboken, New Jersey: Wiley Blackwell.

Smith, W. Sir (ed) (1849). A Dictionary of Greek and Roman biography and mythology. By various writers. London. John Murray: printed by Spottiswoode and Co. ხელმისაწვდომია: https://quod.lib.umich.edu/m/moa/ACL3129.0003.001/1289?rgn=full+text;view=image

Toumanoff, C. (1969). Chronology of the Early Kings of Iberia, New York: Fordham University Press.

Tsetskhladze, G.R. (2006/07). Ancient West and East: Mtskheta capital of Caucasian Iberia, *Mediterranean Archaeology* Vol. 19/20, Proceedings of the 25th Anniversary Symposium of the Australian Archaeological Institute at Athens: Athens 10–12 October, 2005 (2006/07), გვ. 75-107.

Tybout, R. A. (2016). Dead Men Walking: The Repatriation of Mortal Remains. *Migration and Mobility in the Early Roman Empire*. edit.: Luuk de Ligt, Laurens E.Tacoma. Leiden, Boston: Brill. გვ. 90-437.

Watson, A. (1999). *Aurelian and the third century,* London: Routledge,1999.

REFERENCES

apakidze, a. qipiani, g. nik'olaishvili, v. manjgaladze, g. k'ap'anadze, m. (2003). svet'itskhovlis ezoshi chat'arebuli arkeologiuri samushaoebi, mtskheta. 2001; *2001-2002 savele arkeologiuri k'vleva-dziebis shedegebi. angarishebi. VI sametsniero sesia*.[Archaeological works carried out in the yard of Svetitskhovli, Mtskheta. 2001; *Results of 2001-2002 field archaeological research. Reports. VI scientific session*]. Tbilisi. pp. 81-123.

dundua, t. (2019) *sakartvelos udzvelesi da dzveli ist'oriis nark'vevebi. damat'eba.* [*Essays on ancient and ancient history of Georgia. addition.*] Tbilisi, publishing house: Meridiani. pp. 41-48

lortkipanidze, g. mshvildadze, m. (2016) kartlis (iberiis) „romanizatsiis" k'ult'urologiuri asp'ekt'ebi (I-III ss*). ak'ademiis matsne N 1* [Cultural aspects of "Romanization" of Kartli (Iberia) (I-III centuries). *Academy Bulletin No. 1*] Tbilisi. pp. 26-40.

„moktsevai kartlisai" (1979) shat'berdis k'rebuli. dzveli kartuli mts'erlobis dzeglebi I. gamosatsemad moamzades b. gigineishvilma da el. giunashvilma. [„Conversion of Kartli"(1979) Shatberdi collection. Monuments of ancient Georgian writing I. Prepared for publication by B. Gigineishvili and e. Giunashvili.] Tbilisi: publishing house "Science". pp. 320-356.

mshvildadze, m. (2018). plaviusebisa da ant'oninusebis saimp'erat'oro gvartan dak'avshirebuli nivtebi svet'itskhovlis N 14 mdidruli ak'ldamidan. Iv.javakhishvilis sakhelobis tbilisis

sakhelmts'ipo universit'et'is sakartvelos ist'oriis inst'it'ut'is shromebi. XIII [Items related to the imperial family of Flavius and Antoninus from Svetitskhovli N 14 luxurious burial. *Proceedings of the Institute of Georgian History of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. XIII*] Tbilisi. pp. 103-115.

mshvildadze, m. (2017). ulp'ias sabech'davi bech'dis shests'avlis sak'itkhisatvis. *iv.javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is sakartvelos ist'oriis inst'it'ut'is shromebi. XII.* [For the study of Ulpia's seal. *Proceedings of the Institute of Georgian History of Iv. Javakhishvili Tbilisi State University.* XII] Tbilisi. pp. 53-61.

pipia, k'. (2005)*t'raianes aghmosavluri p'olit'ik'a da sakartvelo.*[*Trajan's Eastern Policy and Georgia].* Tbilisi: publishing house"Universali".

qaukhchishvili, t. (2002). berdznults'arts'eriani nivtebi mtskhetidan, *ochkhari.*[Items with Greek inscriptions from Mtskheti, *Ochkhari*] pp. 410-421;

qaukhchishvili, t. (2009). sakartvelos berdznuli ts'arts'erebis k'orp'usi. mesame shests'orebuli da shevsebuli gamotsema tbilisi: [Corpus of Greek inscriptions of Georgia. Third revised and supplemented edition] Tbilisi: publishing house: "Logos".

javakhishvili, iv. (1979). kartveli eris ist'oria. I. [The history of the Georgian nation. I.] Tbilisi: Tbilisi University Publishing House.

Apakidze, A. Kipiani G. and Nikolaishvili, V. (2004). A Rich Burial from Mtskheta (Caucasian Iberia), *Phasis, Greek and Roman Studies,* 7. გვ.128-142.

Braund, D. (1994) *Georgia in antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC-AD 562.* Oxford: Oxford University Press.

CIG (1877) *Corpus Inscriptionum Graecarum*, vol,4. Berlin: Königlich Preussische Akademie der Wissenschaften.

Crook, J.A. (1984) *Law and Life of Rome. 90 B.C.- A.D. 212.* Ithaka, New York: Cornell University Press.

Dundua, T. (2002). Publicius Agrippa, Flavius Dades and Dual Citizenship - a Pattern for Europe in Future? *Caucasica. The Journal of Caucasian Studies.* vol. 5. Tbilisi. გვ. 57-63.

Kauchtsschischwili, T. Neuendeckte Gegenstände mit griechischen inschriften aus Mzcheta, *Phasis, Greek ansd Roman Studies* 5-6, 2003, გვ.134-140.

Lortkipanidze, G, Mshvildadze, M. (2015) Culturological Aspects of Kartli (Iberia) "Romanization" (I-III c.), *abstracts of I International Congress "Problems and Prospects" of Kartvelology*, The Georgian National Academy of Sciences Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Patriarchate, Tbilisi.

Marek, Chr. Frei, P. (2016). *In the Land of a Thousand Gods, A history of Asia Minor in the Ancient World,* Princeton and Oxford: Princeton University Press.

Merivale, Ch. (1872). *History of the Romans under the Empire.* vol. III. London: Longmans, Green and co.

Preud'homme, N. (2021). L'égal des vierges pudique: le prince Amazaspos et la valeur ducélibat dans l'Antiquité romaine", Communication présentée au colloque *"Le Genre des célibats" organisé par le CRH et la Cité du Genre à Paris le 1er octobre 2021.* ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/54392091/Le_prince_Amazaspos_et_la_valeur_du_c%C3%A9libat_dans_lAntiquit%C3%A9_gr%C3%A9co_romaine

Peek, W. *Griechische Vers-Inschriften, Volume 1: Grab -Epigramme*, Berlin: Akademie-Verlag, 1955.

Sartre, M. (2022) *Roman Expansion Across Euphrates in: A Companion to the Hellenistic and Roman Near East,* Hoboken, New Jersey: Wiley Blackwell.

Smith, W. Sir (ed) (1849). A Dictionary of Greek and Roman biography and mythology. By various writers. London. John Murray: printed by Spottiswoode and Co. ხელმისაწვდომია: https://quod.lib.umich.edu/m/moa/ACL3129.0003.001/1289?rgn=full+text;view=image

Toumanoff, C. (1969). Chronology of the Early Kings of Iberia, New York: Fordham University Press.

Tsetskhladze, G.R. (2006/07). Ancient West and East: Mtskheta capital of Caucasian Iberia, *Mediterranean Archaeology* Vol. 19/20, Proceedings of the 25th Anniversary Symposium of the Australian Archaeological Institute at Athens: Athens 10–12 October, 2005 (2006/07), გვ. 75-107.

Tybout, R. A. (2016). Dead Men Walking: The Repatriation of Mortal Remains. *Migration and Mobility in the Early Roman Empire*. edit.: Luuk de Ligt, Laurens E.Tacoma. Leiden, Boston: Brill. გვ. 90-437.

Watson, A. (1999). *Aurelian and the third century,* London: Routledge,1999.